საჯარო ბიბლიოთეკა

წელიწადი 1-ლი № 30

ოთხშაბათი 13 ნოემბერი 1917

რედაქტორი: პატო მიქელაძე

გამომცემელი ქალთა კლუბი

რედაქციისაგან.
კანტორა ღიაა დილის 9 საათ. 3 საათამდე.
ავტორის მიერ ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ დაბეჭდავს.
რედაქციის მისამართი: ქ. ქუთაისი პუშკინის ქ. № 12, სახლი მეიშვილისა შესასვლელი პუშკინიდან ეზოში.

ხმა ქართველი ქალისა

ფასი 15 კ. | ყოველკვირეული საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი | ფასი 15 კ.

თანასწორობა სქესთა წინაშე კანონისა!

ქალებო, დამფუძნებელი კრება ახლოვდება.

დამფუძნებელი კრება ახლოვდება. იქნება ის მოწვეული ბოლშევიკური მთავრობიდან, თუ ახალი მთავრობიდან, ის მაინც ქალთა საკითხის გადაჭრას მოითხოვს. რა უნდა მისცეს დამფუძნებელმა კრებამ ქალებს? უპირველეს ყოვლისა მან დღევანდელი სიტყვით აღიარებული ქალთა სწორუფლიანობა საქმით ე. ი. კანონით უნდა დააფუძნოს და განამტკიცოს.

რა უნდა მოსთხოვონ ქალებმა დამფუძნებელ კრებას? პირველ ყოვლისა სრული პიროვნული თავისუფლება, რომელმაც უნდა მიანიჭოს მათ სრული პოლიტიკური უფლება. რომ ქალებს ჰქონდეთ ხმა არჩევნებში და იყვნენ როგორც ამომრჩეველნი ხალხის წარმომადგენლებისა, ისე არჩეულნი ხალხის წარმომადგენლებში. ქალი უნდა შეუდგეს თავისი თავის და თავისი ინტერესის დაცვას. მუშა ქალებს უნდა მიენიჭოთ უშუალო ხმა, რადგან მათი ამხანაგები მამაკაცები ამის მაგიერობას ვერ გაუწევენ მათ. ხალხის სუვერენიტეტური პრინციპის მიხედვით ლოგიკურადაც გამომდინარეობს ორთავე სქესის თანასწორი პოლიტიკური უფლება. სასაცილოა საუბარი პროპორციონალურ წარმომადგენლობაზე, თუ რომ ნახევარი ნაწილი ხალხისა ამ წარმომადგენლობიდან გამორიცხული იქნება. მომავალმა დამფუძნებელმა კრებამ უნდა თანასწორად განამტკიცოს ორთავე სქესის აქტიური და პასიური ხმის უფლება ორთავე სქესის თანასწორი უფლება როგორც საზოგადო, ისე კერძო სამსახურში. არსებული ომიანობის გაჭირვებამ საკმარისად დაანახა ქვეყანას, თუ რამდენათ თვით დღევანდელი მოუმზადებელი ქალები პატიოსნად და ღირსეულად ასრულებდენ მამაკაცების მაგიერობას, როგორც საზოგადო, ისე კერძო დაწესებულებებში.

თანასწორ განათლებასთან და აღზრდასთან ერთად ცხადია ქალები ვაჟებს არ ჩამორჩებიან ასეთს შრომაში და კიდევ უფრო უკეთ შეასრულებენ მას. ამისათვის დამფუძნებელმა კრებამ უნდა დააწესოს თანასწორი შრომა და თანასწორი [illegible] ორთავე სქესისათვის. ერთნაირი სწავლა განათლება მათთვის.

მან უნდა მოსპოს საზარელი მტარვალობა: რეგლამენტაცია პროსტიტუციისა, და სხვა ბოროტმოქმედებთან ერთად დასჯილნი იყვნენ ვაჭარნი ქალთა სხეულისა და საროსკიპოების გამგენი.

გაუქმებული უნდა იქნეს პოლიციური ზედამხედველობა პროსტიტუტკებზე, რადგან ასეთი ზედამხედველობა მხოლოდ ერს სქესზე, როცა მეორე სრული თავისუფლებით ავრცელებს ვენერულ სენის საწამლავს, ამცირებს მხოლოდ დედაკაცის პიროვნებას და სხვა დადებითი შედეგს ვერ აღწევს.

დაარსებული იყოს საკანონმდებლო მფარველობა ყოველი ფორმის ქალთა შრომაზე და შემოღებული ქალთა ინსპექცია სამრეწველო დაწესებულებებზე. დამფუძნებელმა კრებამ უნდა შესცვალოს არსებული საოლქო და სამოქალაქო კანონები და მოსპოს დღეს არსებული სქესთაშორის სხვა სხვაობა სისხლისა და მოქალაქური უფლებისა. მოსპობილ იქნას მემკვიდრეობითი განსხვავება სქესისა და ოჯახურ ცხოვრებაში პრივილეგია მამის უფლებისა შვილებზე.

ქალებო, გახსოვდეთ თუ რა უნდა დააბაროთ თქვენს მიერ ამორჩეულთ ხალხის წარმომადგენლებს.

მათზეა დამოკიდებული თქვენი სწორუფლებიანობის არსებობა.

თითეულ კენჭის ჩაგდებაზე მოაგონეთ მათ, რომ თუ დამფუძნებელმა კრებამ ქალების უფლება შეკვეცა და არ დააკმაყოფილა ზემო აღნიშნული მოთხოვნილებანი, რომ წყევლა-კრულვით მიეგებებით მათ, როცა ეს წარმომადგენელნი ხალხისა სამშობლოში უკანვე დაბრუნდებიან.

მებრძოლი ქალის ტიპი

მე ვარ დედაკაცი. კაცობრიობის წინასვლის აღმორძინებელი.

მე ვარ მხოლოდ ცხოვრების სხეულობრივი დედა—ბოძი, ნავთსაყუდელი.

მე პირველმა დავლეწე, დავამსხვრიე, გავაცამტვერე ბჭენი სიბნელისა და პირველმა მე ვპოვე და დავიპყარი სინათლის ლამპარი.

პირველად მე ვიცანი, ვიხილე ბუნების უთვალავი მრავალ ფეროვნება.

პირველად მე შევიმკე თავისუფლების გვირგვინით თავი.

მე პირველს ბედნიერების შადრევანნი მიმღეროდნენ ნანას დაფრთოსანთ სა[illegible] საკრავთა ხმებზე პირველ მე ვცეკვავდი, ვგალობდი ვარჯიშობდი, სიამტკბილობდი.

მაგრამ არ მსურდა, მთელი სამყაროს მთლიანობით მარტო მე ერთს დედოფალს მედღესასწაულა და ვეძებდი ამხანაგს და აი, ეს უკეთესი, სიამტკბილობის ზღვა ყოველ მხრივი ბედნიერებისა გავაცანი, დავამახვე გავუყავ გავუზიარე მამაკაცს და მან კი მოუქნელ, ველურულმა მუშტის ძლიერებით დამიპყრო, დამიმონავა, გვირგვინი მომხსნა, სამფლობელო წამართვა, [illegible], [illegible], [illegible] დამიხშო, დამიპატიმრა და სულიერად დამაკნინა, რწმენა მომიკლა გული დამითარავა, თავმოყვარეობა შემიბღალა, სიცოცხლე შემივიწროვა, ვნებათა ღელვის დამაკმაყოფილებელ იარაღათ გარდამქმნა და ნივთად დამაკანონა. ეხლა ვდგევარ თავისუფლების წინაშე მამაკაცებთან ერთად სწორ უფლიანი, მაგრამ თუ კვლავ განგიძრახავთ წართმევა აღიარებული ჩემი უფლებისა, ვფიცავ ავაფორთო შორის ძიება ქალ ღმერთისა, ავსტეხო ქექა ქუხილი, ვაწვიმო ცეცხლის წვიმა, დავატრიალო ქარ-გრიალი, ავაბობოქრო ზღვა, ავარუხრუხო დედამიწა, ჩემი ჩაგრული დათა შეერთებული მძვინვარე ძალღონით და თავგანწირული ლტოლვით ვაკვეთოთ მონობის ჯაჭვს, რომ ბრძოლის ქარტეხილში, ან უფსკრულში გადავიჩეხოთ და ან გავიმარჯოთ თავისუფლების და ჭეშმარიტების სხივთა ქვეყნად მოსაფენათ.

ანეტა კაპანაძისა

ეკონომიური რეფორმა შეუღლებისა.

ეხლა ჩვენ მივადგებით უმძიმეს პრობლემას, რომელიც ჩვენ წინ სდგება „ეკონომიურად დამოუკიდებელ საფუძველზე აგებულ შეუღლების საკითხში. როგორ უნდა შეერთდეს საზოგადო მოღვაწეობა ქალისა დედობასთან. რაც შეეხება ფეხმძიმობას ამისათვის მაგალითი ჩვენი [illegible] ქალებისა, მოსამსახურეებსა, ფაბრიკაში მომუშავეთა და საშუალო წრის დიასახლისთა, რომლებიც მოლოგინების დღემდე ასრულებენ ჩვეულებრივ მუშაობას საკმარისად მჭერმეტყველია.

ფეხ-მძიმობა არ არის ისეთი მდგომარეობა ორგანიზმისა, რომელსაც შეეძლოს მთელი ძალღონის შთანთქმა და არ სტოვებდეს უკანასკნელს მუშაობისათვის. უეჭველია, ისიც, რომ ახალი ფიზიკური აღზრდა ქალისა ერთობ შეამცირებს ფეხმძიმობის ტანჯვას. მძიმე და სასტიკმა მოუწყობლობამ, რომელიც თავს აწვევს ტვირთიან ფეხ-მძიმე და მელოგინე ქალს, დიდი ხანია წამოაყენეს მოთხოვნილება კანონით დედების დაცვისა. ახალი დადგენილობა ჩვენი კანონისა კასებზე ავათმყოფთათვის, რომელიც უზრუნველ ჰყოფდეს მელოგინე ქალს საავათმყოფოს [illegible] გართულებში ექვსი კვირის [illegible]მავლობაში, [illegible] მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული სახელმწიფოს მიერ ამ გზაზე.

ქალთა მონაწილეობის განვითარება ეროვნულ წარმოებაში და სოციალ-ჰიგიენური მნიშვნელობის დაკმაყოფილება დედობის მფარველობით, იძლევა სწორ გარანტიას მისას, რომ ამ გზაზე გადადგმული იქნება წინ საჭირო ნაბიჯი.

მაგრამ რა ეშველება ძუძუ მწოვარ ბავშს, თუ დედა ყოველ დღე შინ მიატოვებს?

ჩვენ დროში დიდი ხანია, რაც მეცადინეობენ ამ საკითხზე და მუშაობენ ისეთი ფორმის შესაქმნელად, რომელიც მიღებული იქნეს ახალი ქალის მიერ, როცა ის ეწევა დამოუკიდებელ პროფესიას. მე გაგახსენებთ მხოლოდ, საბავშო ბაღებს, იასლებს, და მოედნებს ბავშვების სათამაშოთ ფრანკფურტის სახლში.

აქ ბავშვები რჩებიან სახლში, სადაც ერთობ კარგი მოვლა აქვთ, მათზე ზედამხედველობენ სპეციალურად მომზადებულნი პირნი. ჩვენ ვხედავთ ამავე მოწყობილობას ყველგან, სადაც კი აშენებენ [illegible] საბინადრო სახლებს. ერთობ დამახასიათებელია დ-რი ფლეიშის სიტყვები (ფრანკფურტ მაინზე) მისი გამოგონების წარმატების შესახებ, რომელიც მან მოახდინა ამ სფეროში 1890 წ. „იდეია, რომელიც უზრუნველ ჰყოფდეს ბავშვების ზედამხედველობას, ბინის უზრუნველყოფასთან ერთად ჯერ კიდევ ახალია“.

მეორე ნაბიჯია გადადგმული იტალიის კანონის მიერ 190[illegible] წ.

გა ხაზვრა აღმოსვლა:

მონობიდან

ეს კანონი ვალდებულად ხდის ფაბრიკის პატრონს მოაწყოს უნაკლულო ჰიგიენური მხრით ბინა ძუძუ მაწოვებელ დედებისათვის.

დედას მიჰყავს ბავში ფაბრიკაში და ასაზრდოებს მას მუშაობის მცირე ხნობით შეწყვეტის დროს.

ამასთან ჩვენ მივაქცევთ თქვენ ყურადღებას იმაზედაც, რომ ყოველ გვარი საზოგადო სამსახურში მუშაობის დრო განსაზღრულია. მასწავლებელი ქალის, რომელიც ოჯახის გარედ რჩება 4—5 საათს შეუძლია თავისი ბავშის ხელოვნურად გამოკვება, მისი შინ არ ჰყოფნის დროს.

ჩვენ დროში ყოველ წლიურად იზრდება მოძრაობა ახლად დაბადებულთა მოსავლელ რეფორმების სასარგებლოდ. გამოჩენილი პირნი მეცნიერებისა, სოციალ პოლიტიკოსნი, ქალაქის თვით-მმართველობა და სახელმწიფო ხელს კიდებენ ამ საკითხის გადაჭრას.

ჩვენს ბერლინში არის თავ-შესაფარი ძუძუ მწოვარ ბავშებისათვის, და თავშესაფარი დედებისა და ბავშებისათვისაც, საავადმყოფოები ძუძუ მწოვარ ბალღებისათვის. 1908 წ. ბერლინში მოწყობილი იყო გამოფენა ძუძუ მწოვარ ბავშთა მოვლისა. რას ამტკიცებს ეს ფაქტები? ის ამტკიცებს მას, რომ წავიდა ის დრო, როცა ბავშის მოვლა მთლიანათ ეკუთნოდა დედას,

დღეს მივიდნენ იმ შეგნებამდე, რომ დედობრივი ინსტინკი და ოჯახის საშუალება ვერ უთავდება ახალი თაობის ჯანმრთელობის უზრუნველჰყოფას და ვერ იფარავს მას ცუდი მოვლის მძიმე შედეგებისგან.

საზოგადოებამ უნდა მიეშველოს ოჯახს და გასწიოს წინ საქმე ბავშთა მოვლისა.

მაგრამ დღეს გაკეთებულია მხოლოდ ათასი ცდა ამ დიდი პრობლების გადასაწყვეტად.

ვინც გაივლის ბერლინის ბავშთა თავ-შესაფარში ის დაინახავს თვის წინ ახალ მსოფლიოს. დიდი სინათლიანი ოთახები, ლოგინები, ვანები მოწყობილნი თანახმათ ახალი ჰიგიენისა, ცალკე სამზარეულო რძისათვის, რომელშიდაც არასოდეს სხვა საჭმელები არ მზადდება. კარგათ მომზადებული, მზრუნველი ძიძები, და ბოლოს თვით ბავშები, რომლებიც განირჩევიან მშვენიერი განვითარებით. ყველა ეს აშკარად და ხმა მაღლა გვეუბნება: „აქ მოწყობილია ბავშთათვის ისეთი თავ-შესაფარი, რომელიც აკმაყოფილებს ყველა მის მოთხოვნილებებს„. თითეული დედ-მამა მადლობას უნდა გრძნობდენ, როცა ხედავენ, რომ მათი ბავშები ასეთი კარგი მოვლით სარგებლობენ. ამასთან დედის გული კმაყოფილებასაც ღებულობს, სადილად და საღამოს მუშაობიდან დაბრუნებული დედები თამაშობენ თავიანთ ბავშებთან, ატარებენ და ასეირნებენ მათ წმინდა ჰაერზე.

X.

(შემდეგი იქნება).

ახალი ქალის სიყვარული

(ვუძღვნი ჯაჯას და ვენერას)

ვხედავ გიყვარვარ და იტანჯები
მკურნელად იწვევს ჩემსა გრძნობასა!
ნეტავ ვის ეტრფი ავრე აღგზნებით,
ჩემს მეს, თუ მარტო გარეგნობასა?

თუ ჩემი გხიბლავს სახე ლამაზი,
მასთან უცხო ხარ ჩემი სულისა?!
საბრალო ბავშო, სჯობს დამივიწყო,
გახდები მსხვერპლი სიყვარულისა!!

ზეცა მიზიდავს, სულით ვარ ლაღი,
მიწის სიბნელე გულს მიკლავს გძრომას,
თუ ფიქრობ გავხდე ვნების ტუსაღი?
მოკვდე, ვერ გიხამ მაგ მეგობრობას!.

თუ სულიერიც ხარ მოტრფიალე,
ღვთიურ ხატებით ავფრინდეთ ცაში,
რომ ჩვენს სიყვარულს ანგელოზებმა,
სასიხარულო დაუკრან ტაში!

ცისკენ ვესწრაფვი და თუ ამ გზაზე
გამყვები, როგორც ერთგული გზირი?
მარად დასტკბები გრძნობათა ზღვაზე,
ჩემი ოცნების ნანატრი გმირი!.

შენს გულ სიცივეს არ მიაკარებს,
მგზნებარე ჩემი ტრფობა, ალერსი!
მოკვდები თავზე დაგეწურება,
ციური გრძნობა ცრემლად ნალესი.

სულით გიყვარვარ? ცას მივაშუროთ,
იქ გავიქარვოთ მიწის დარდები!
თუ ვერ აიტან ფრენას ზეციურს,
მაშინ მეც შენთან ჩამოვარდები.

კატო მიქელაძე

სიხარბე, თუ ხალხის სიყვარული

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც სულშეხუთულ განაწამები ხალხის გმირები თავგანწირულად ეკვეთებოდენ ძველი რეჟიმის უძლიერეს მტარვალებს ბ. ლენინი, ტროცკი და კომპანია ამ თავგანწირულ გმირთა საქციელს ზიზღითა და კიცხვა გმობით უხვდებოდენ. გაძლიერებული რეაქციის დროს სოროებში მიმალულნი თავიანთ სულიერ სიმხდალეს უვიცთა თვალში კაცმოყვარეობათ ასაღებდენ და უბრალო მკვლელობათ ნათლავდენ, ისეთ თავდადებას ხალხისათვის, რომელსაც იჩენდენ საზონოვები, კარპოვიჩები სპირიდონვები და სხვანი. ამ თავდადებულთ ისინი არავითარ ანგარიშს არ უწევდენ, არ ხედავდენ იმ აშკარა მოვლენას, რომ ეს გმირები, თუ აშკარა მტარვალობის საწინააღმდეგოთ ჯალათებს სიცოცხლეს ართმევდენ სამაგიეროთ თავიანთ საკუთარს სიცოცხლეს სრული სიმშვიდით და მოფიქრებით ეთხოვებოდენ. ეს ხალხი არა გავდა იმ მოსყიდულ ტერორისტებს, რომელიც ჯალათურად კლავენ გარბიან და ადამიანის სისხლს თავიანთ გულიდან ღვინით რეცხავდენ და გონების მხილებას ღოთობაში აყუჩებენ.

ერთი თვე კიდევ არ არის რაც ბ. ტროცკი და ლენინი, კერენსკის ზიზღს უცხადებდენ და ბრალსა სდებდენ სიკვდილის სასჯელის განახლებისათვის.

დღეს კი, როცა თვით შეაბიჯეს ფეხი ძლევამოსილობის საფეხურზე,

მიზეზი ქალთა მონობისა და ქალთა [illegible]

5000 პროსტიტუტკებში, რომელთაც ჰქონდა შემთხვევა მიზეზის გამოკითხვისა, ამბობს პარიზელი ექიმი პირან დუ-შატლე 1440-ს მათგან პირდაპირი გაჭირვებისა გამო მოუკიდნიათ ხელი ამ სამარცხვინო ხელობისათვის. 1250 უპატრონო ობლები ყოფილა. 80-ს მშობლების სარჩენათ. 140 საყვარლებისგან მიტოვებულნი. 400 ჯარისკაცთაგან და ოფიცრებისგან მოტყუებით პარიზში გატაცებული და იქ უსახსროთ დარჩენილნი. 280 ფეხმძიმობის დროს საქმროთაგან მიტოვებულნი. უკანონო შობილთა და ბავშთა მკვლელობა ყოველ წლობით 17000-ს აღემატება პარიზში. ამ გვარად უუფლებო დედაკაცები თანამედროვე ევროპაში მამაკაცების სქესობრივი სიამოვნების მსხვერპლი ხდებიან. ფუფუნებისა და სიღატაკის ზრდამ მოხუცი და ახალგაზდა, მდიდარი და ღარიბი ერთნაირად გარყვნა სქესობრივათ, რომლის გამო ზნეობრივათ იხრწნება თანამედროვე როგორც ოჯახი, ისე საზოგადოება.

ბავშთა გახრწნა ამ ბოლოს დროს საშინლათ გავრცელებულია, ამბობს ჰეფელი, აღნიშნულს დანაშაულობისათვის გერმანიაში 1902 წ. დაისაჯა 58 სული. 1907 წ. 72 ს. 1906 წ. 4548 სული.

იტალიაში ზნეობის წინააღმდეგ დანაშაულობათა რიცხვი იყო:

1887 წ.—4590 ანუ ასი-ათას მცხოვრებზე— 19,44.
1903 წ.—8461 — — 25,67.

ასეთი მოვლენა ემჩნევა ავსტრიასაც *).

თუ რამდენათ მძვინვარებს ვენერიული სნეულობა თანამედროვე საზოგადოებაში ამაზე მედიცინის ავტორიტეტნი საკმარის ფაქტებს გვაწვდიან. ექიმი ბლაშკოს გამოკვლევით ბერლინში ყოველ წლობით მეხუთედი ნაწილი იქაური ახალგაზდა მამაკაცებისა დასნეულებულია სუსუნატით და 24 ნაწილი სიფილისით.

ეს ავათმყოფობა ყველაზე მეტად გავრცელებულია ჯარში და მეზღვაურებში. საგარყვნილო ინსტიტუტის წყალობით 80 პროც. მამაკაცებისა ამ სენით დასნეულებულია, რომლებიც ღუპავენ თავიანთ ჯანმრთელობას და თავიანთ ცოლშვილისას. რამდენათ დღევანდელი ცოლ-ქმრობა უწმინდურ ნიადაგზე სდგას, ამის მაჩვენებელია რიცხვი ცოლქმართა გაყრისა, რომელიც დღითი დღე მატულობს მთელს ევროპაში.

1884 წ., ამბობს ბრანდტი, ბერლინში გათიშული იყო 754 შეუღლება. და ამ რიცხვში 238 ღალატისათვის, 210 განზრახ მიტოვებული, 36 გალახვისათვის, 34 შეშლილობისა გამო, 9 ავათმყოფობის მიზეზით, 17 მძიმე შეურაცხყოფისათვის. ბელგიაში ცოლ-ქმართა გაყრის რიცხვმა იმდენათ იმატა, რომ თვით ვექილები კითხულობენ მის საწინააღმდეგო კონფერენსებს.

1917 წ. ბრიუსელში მე თვით დავესწარი ერთი ვექილის მოხსენებას, რომელიც აღნიშნავდა განხაცვიფრებულს ზრდას გათიშვის რიცხვისას და ურჩევდა ხალხს მეტს მოთმენასა და შეგუებას შვილების საკეთილდღეოთ. და ეს რჩევა მოთმენისა, რასაკვირველია, ქალებისადმი იყო მიმართული, რადგან უმეტეს შემთხვევაში გაყრის მიზეზი არის ქმრის ცუდი ყოფა-ქცევა. და ამ მხრივ საჩივარი ქალების უფრო მეტია.

ყველა ეს ხდება მისთვის, რომ დღევანდელი შეუღლება დამყარებულია მომეტებულ წილად ვაჭრულ ანგარიშზე და არა სიყვარულზე. მათ აერთებს მხოლოდ ოქრო, ნივთიერი ქონების რაოდენობა და არა წლოვანებისა. ხნით, ხასიათით და ჯანსაღობით შეუფერებელთა ანგარული კავშირი არის ჩვეულებრივი მოვლენა თანამედროვე შეუღლებისა. ცხადია, ასეთი ოჯახი ვერ იქნება წარმომშობი საღი და შემოქმედი თაობისა და ვერც ვხედავთ მას. არსებული საერთაშორისო ქაოსი და სისხლის ღვრა აშკარათ გვიჩვენებს შემოქმედებითი ძალთა სისუსტეს დღევანდელი ევროპიელთა თაობისას.

თანამედროვე დედაკაცის სულიერი „მე“, როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში განიცდის ჯოჯოხეთურ ტანჯვას. კაპიტალისტური ცხოვრების განვითარებამ და მისგან წარმოშობილმა თავისუფალმა კონკურენციამ ადამიანში ჩაკლა სურვილი სუბიექტიური სიმდიდრის შეძენისა და მდიდარი და ღარიბი, მოხუცი და ახალგაზრდა ნივთიერ შეძენისა და გარეგნული ძლევამოსილობის მისწრაფებით აღჭურვა, რომლის გამო გაჩაღდა ერთი მხრით უცნაური ეგოიზმი და პირადი სიამტკბილობის ძიება და მეორე მხრით უკიდურესი პატივმოყვარეობა. „ყოველი მისწრაფება დღევანდელი ადამიანისა, ამბობს დიდი მწერალი პოლონელი ქალი ოჟეშკო, ნივთიერი შეძენილობის თვალსაზრით იზომება. ფული და ფული და გაღმერთებული ოქროს ტაძრის წინაშე საერთო ცეკვაა, რომლის გამო შეიარაღებულია თითეული ერთი მეორის საწინააღმდეგოთ. ამხანაგურ განწყობილებაში: სიცბიერე და ღალატი, სოციალურ დამოკიდებულობაში: ფუფუნება და ექსპლოატაცია. საერთაშორისო დამოკიდებულობაში: თოფ-ზარბაზნებით შეიარაღებული მილიონი ჯარი ერთი მეორეს ამოსაწყვეტათ. არასოდეს კაცობრიობას არა ჰქონია გულზე იმდენი მუწუკები და პირზე იმდენი ჩირქი, როგორც ჩვენს დროში“, ამბობს ეგ დიდებული ქალი. აი შედეგი იმ თავისუფალი კონკურენციისა, რომელმაც ყოველ დარგში და ყოველ სფეროში შეიტანა ჯიბრი და წარმოშვა, როგორც ეკონომიური, ისე გონებრივი ანარქია. ბურჟუაზიულმა მეცნიერებამ ეგ შეჯიბრება თვით სიცოცხლის დედა აზრათ აქცია, რომელმაც ჩუმი და ცხადი ბრძოლა კაცთა შორის არსებობის მიზნათ დასახა. და ამ ბრძოლაში გამარჯვებულთ სახელად მან უფრო მოხერხებული დაარქვა, რომელსაც ამ სოფლად სამჯილოში სუფრა გაუშალა. დამარცხებულთ კი მოუხერხებელი უწოდა, რომელთაც შიმშილით სიკვდილი მოუხაზა ევოლიუციის პროგრესის ბრძანებელი მოთხოვნილებებს სახელით.

ამ გვარად უვიცობით გადაგ ბულმა სიმხეცემ ადამიანში თანდ

---

*) იხ. „დედაკაცი და სოციალიზმი“. ბებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ქვეყნის მართვა გამგეობის სადავის ღებას ლამობენ. და შემთხვევით მათ ამხარეზე ძალა დაინახეს, კაცთა კვლა ბ. ბ. ლენინმა და ტროცკიმ ბრძოლის აუცილებელ საშუალებით აღიარეს. და სურთ მე 20 საუკუნეში აღადგინონ და დასდგან ის შემზარავი სასაკლაო, რომელიც მე 18 საუკუნის რევოლუციის გმირებმა აღმართეს. თუ სისასტიკის მხრივ მარატი და ლენინი არაფრით განსხვავდება, სამაგიეროთ მათი საქმენი სხვადასხვაობენ. მარატი ხალხთან ერთად რევოლუციის წინ ებრძოდა თვითმპყრობელობის და სანგრევში და თავის სიგმირით ხალხის მეგობრადაც ითვლებოდა. ლენინსა და ტროცკის ერთი კენჭიც არ უსვრიათ გაბედული აქტიურობით რუსეთის თვით მპყრობელობის საწინააღმდეგოთ მათ რევოლუცია მზა მზარეულად დაუხვდა და როცა ნებივრად გერმანიის საზღვრებიდან ჩამობრძანდნენ ახლად განთავისუფლებულს სამშობლოში მათ ნიკოლოზ მეორეს მთავრობის ნაცვლად ამხანაგ წერეთლისა და კერენსკის მთავრობა დაუხვდა. მაგრამ სიხარულის ნაცლათ მათ თითქო არც იამათ ამ სურათის ნახვა. თვითმპყრობელობის დროს სოროებში მიმალული თავისუფლების სხივებმა, ვით მელამურა სინათლიან ოთახში შემთხვევით შემოვარდნილი, — რაღაც ნაირად გაამწარა და აშკარა სიბრაზემდე მიიყვანა. რამ გამოიწვია ეს უკმაყოფილება? სიხარბემ, რომ ბ. ლენინი, რომელმაც რუსეთის ს. დ. პარტიაში საკუთარი ფრაქცია შექმნა და დღეს რუსეთის დიდ რევოლუციაში თვალსაჩინო როლს ვერ თამაშობდა, თუ ბნელ სოროების დატოვებამ და წმინდა მოედნებზე თავისუფლად ლაპარაკმა? ამბობენ: ხალხის, მუშა ხალხის მეგობრობამ„ო. მაგრამ როგორ დაგვაჯერებს ტროცკი და ლენინი, რომ რუსეთის ხალხზე მათ უფრო გული შესტკიოდეს, ვიდრე ამავე ხალხისათვის თავგანწირულთ გმირებს, რომლებიც თვითმპყრობელობის კლანჭებს ცოცხალი გადარჩენ და იმ სურათის დანახვით, რომელიც დღის რუსეთის მიწაზე ლენინ ტროცკიმ დაატრიალეს სიკვდილს ნატრობენ. რამდენათ გაუბედავი იყვნენ ლენინ ტროცკი ნიკოლოზის თვითმპყრობელი მთავრობის დროს, იმდენი გაბედულობით შეიმოსნენ კერენსკის კოალიციური მთავრობის საწინააღმდეგოთ, რომელნიც განსაკუთრებლათ თვით ტერორის საჭიროებასაც კი აღიარებენ. ასეთს გმირებს ხალხი თავის მეგობრად ვერ ჩასთვლის და თუ დღეს მათ ბრბო ტაშს უკრავს, ხვალ შეიძლება ამავე ბრბომ ისინი სახრჩობელაზედაც აიყვანონ. ვინც აიღებს მახვილს მახვილითვე განადგურდება„ო აი ამათზე ითქმის.

ჟურნალ გაზეთებიდან.

პეტროგრადი. ბოლშევიკურმა მთავრობამ პეტროგრადში დაატუსაღა ა. ვ. კერენსკის მეუღლე ო. ა. კერენსკაია.

სახალხო კომისარმა საგარეო საქმეთა. ლ. ტროცკიმ მიმართა მოკავშირე სახელმწიფოების ელჩებს წინადადებით, რომ დაუყონებლივ ყველა ფრონტებზე შეჩერდეს ომი და გაიხსნას საზავო მოლაპარაკება. ტროცკის წერილს იმის შეჩერებაზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია მოკავშირეთა საელჩოში. წერილი გადაეცა ტელეგრაფით რომს ლონდონს და პარიზს.

პეტროგრადიდან უცხოელები გადიან.

დაატუსაღეს ვ. პურიშკევიჩი მისი ცოლით მასთან ერთად თავადი იუსუპოვი სუმაროკოვი - ელსტონი.

მერსალი. გარდაიცვალა ცნობილი მოქანდაკე როდენი

ელჩების წასვლა იტალიის, საფრანგეთის და ინგლისის ელჩები პეტროგრადიდან გავიდნენ.

იტალიის დამარცხება. გერმანელებმა ვენეცია აიღეს, 100,000 კაცი ტყვეთ წაისხეს.

აქსენტიევის დაჭერას ლამობენ. სამხედრო სარევოლუციო კომიტეტს ბრძანება გაუცია რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარე აქსენტიევი შეიპყარითო.

ტროცკი და კერენსკი. განსაკუთრებით მტრობას კერენსკის უწევს ტროცკი პეტროგრადის საბჭოში ზინოვიევმა სთქვა, რომ ტროცკიმ ბრძანება გასცა კერენსკი, თუ ცოცხალი არა მკვდარი ჩამოიყვანონ პეტროგრადში.

ბურცევი. ბურცევისა და სხვა დატუსაღებულ მინისტრთა სიცოცხლე ერთობ საშიშარია. ბოლშევიკების დამარცხებასთან მათ სიკვდილი მოელის.

კალედინი კალედინის ჯარმა ხარკოვი დაიპყრო და [illegible] გამოაცხადა.

ბოლშევიკები რევოლუციის დიდი დედას ეკატერინე ბრეშკოვსკაიას დატუსაღებით ემუქრებიან.

ახალი ამბავი.

◆ **მაძებარი პოლიციის უფროსი ჩემინავა.** ამას წინათ ქუთაისში ჩამოიყვანეს მაძებარ პოლიციის უფროსი ჩემინავა, (ამ ჟამათ პორუჩიკის ჩინი აქვს). რომელიც გადაეცა ქუთაისის გარნიზონის უფროს. ჩემინავა ამ ჟამად მოთავსებული არის ქუთაისის გარნიზონის „ჰაუპტვახტში“

◆ **ფეხსაცმელების ტყავეულობა.** თბილისიდან უკვე დაბრუნდა სასურსათო კომიტეტის წევრი გრიგოლია, რომელსაც თბილისში შეუძენია 2000 ფუთი ფეხსაცმელების ტყავეულობა უკვე გამოგზავნილია თბილისიდან და ამ დღეებში მიიღებენ.

◆ **სიმინდი.** ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა ქ. ფოთში მიიღო 50 ვაგონი სიმინდი. ეს სიმინდი გაგზავნილ იქნება შემდეგ ადგილებში: 2 ვაგონი ზესტაფონში, 2 ვაგონი ძირულაში, 3 ვაგონი ტყიბულში, 2 ვაგონი საჩხერეში, 2 ვაგონი შორაპანში 1 ვაგონი მარელისში, 1 ვაგონი საჯავახოში, 32 ვაგონი ქუთაისში და 3 ვაგონი თვით ფოთს დარჩება.

◆ **მოთხოვნილება.** ქუთაისის ქალაქის საავადმყოფოში მოსამსახურე ფერშლებმა ქუთაისის გუბერ

თანი შეგნებული ხასიათი მიიღო, რომელიც თანამედროვე მეცნიერებამ თვისებური საბუთებით დააკანონა. და დღეს ბურჟუაზიული მეცნიერები სრულიად გულცივად და გაბედულად გვიცხადებენ კაცთა შორის სისხლის ღვრის მუდმივობას! ამბობენ, მათი აზრით, ბრძოლა წარმოადგენს ცხოველთა ძირითადს თვისებებს. რომ ყველა ძალნი ბუნებისა ურთიერთ შორის განუწყვეტელ ბრძოლაში ახალი და უფრო უნაკლულო ძალთა წარმოსაშობათ. კაცობრიობა, როგორც მისი ნაწილი ამავე კანონს ემორჩილება, რომლის გამო ომიანობაც მუდმივ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს. ამისათვის, როგორც კლასთა შორის, ისე ერთა შორის ბუნებრივ თვისებას წარმოადგენს, არა რწმენა და ძმური სიყვარული, არამედ ურთიერთ შიში და უნდობლობა. ყველა ის ფილოსოფოსები და მორალისტები, რომელნიც ომიანობას უარსა ჰყოფენ და ხალხთა შორის ძმობა, ერთობას ქადაგობენ, მათი აზრით, უბრალო მეოცნებე, უტოპისტები არიან, რომელთაც დაკარგული აქვთ საღი მეცნიერული მოსაზრება.

ასეთია ეთიკა თანამედროვე განათლებულ მამაკაცების მეცნიერებისა, რომელმაც დაიმორჩილა საზოგადო აზრი და კაცთა გულში ყოველი სიბრალული და სათნოება აღმოფხვრა. რომლის შედეგი მთელი თავისი სისასტიკით თვალწინ გადაგვიშალა დღევანდელმა უმაგალითო ომმა. ეს ნაყოფი ისტორიულად განვითარებულ მილიტარიზმისა, რომელიც წარმოშვა ერთი სქესის აგრე სანგრძლივით ბატონობამ მსოფლიოში.

მიუხედავათ სხვა და სხვა დიპლომატიურ მასლაათობისა, დღეს ჩვენ ვხედავთ სრულს სიკოტრეს თანამედროვე პოლიტიკისას, საერთაშორისო სამართლისას და სისასტიკეს სამხედრო ხელოვნებისას.

რომ შევადაროთ თანამედროვე პარიელთა დღევანდელი მოქმედება უძველეს პარიელთა სამხედრო წესების დადგენილობას, ჩვენ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ზნეობრივი მხრით პირველ დიდათ უკან დაუწევიათ.

„არ მოკლა არც ერთი მტერი, რომელიც ემალებოდეს მალობს, არც ერთი მათგანი, რომელიც მოითხოვდეს შებრალებას, ან იარაღის აყრას. არც ერთი გაქცეული, არც ერთი დამჯდარი, არც ერთი მათგანი, ვინაც დაიძახებს: „მე შენი ტყვე ვარ“. არ მოკლა მძინარე, არც იმის გარეშე მდგარი მაყურებელი, არ მოკლა ხმალ გადატეხილი მტერი! როგორც მოვალეობა მხედრისა, რომელსაც თანასწორი იარაღით ბრძოლას ავალებს კანონი!“ *).

ასეთს სამხედრო კანონებს ამუშავებდა ის უძველესი საზოგადოება, რომელიც კარჩაკეტილს ცხოვრებას ეწეოდა.

ჩვენ დროში კი, როცა საერთაშორისო მიმოსვლამ ელვის სისწრაფით იმატა, როცა დღევანდელს ადამიანს შეუძლია თავი მსოფლიოს მოქალაქეთ ჩასთვალოს, როცა ერთა შორის საზიარო ყველაფერი დაწყებული სწავლა-განათლებიდან, გათავებული ვაჭრობა-მრეწველობამდე. დღეს ეს ერთი მეორეს ნაცნობი ხალხი ურთიერთ ამოსაჟლეტად უსასტიკეს საშუალებებს ხმარობენ და სრულიად გულცივად და მოფიქრებულად.

რამდენია დღეს თითეულ მეომარ სახელმწიფოში ისეთი ჯარისკაცი, ისეთი ოფიცერი, რომელსაც ტყვიით გაუგმირავს უიარაღო მტერი, რომელსაც მისთვის დაუყვირია: „მე შენი ტყვე ვარ!“ და როგორ ექცევიან უიარაღო და უდანაშაულო მცხოვრებლებს შესეული, თუ გამოქცეულნი დღევანდელი ჯარისკაცნი, ამას დღევანდელი გაზეთები გვაუწყებენ!

მეოცე საუკუნის მამაკაცთა სანაქებო ცივილიზაციამ, მხოლოდ ფორმა შეუცვალა პირველ ყოფილ ადამიანის სიმხეცეს. მაშინ, როდესაც არსებითად უფრო გაასასტიკა და გაამედიდურა იგი.

თანამედროვე მეცნიერები გვიმტკიცებენ, რომ პატივმოყვარეობა უფრო მეტად უკულტურო ველურ ხალხში არსებობს, ვიდრე კულტურულ ცივილიზაციურ ხალხში“ო.

ესეც ერთგვარი სიცბიერე და დაჩქმალვაა სულიერი უძრაობისა, რომელსაც ჩვენ, დღევანდელს კულტურულ მამაკაცებში ვერსად ვერ ვხედავთ. რომელი ველურის პატივმოყვარეობა უნდა შეედაროს, მაგალითად ლ. ტოლსტოის „ომი და ზავი“-ს გმირი ანდრია ბოლკონსკის პატივმოყვარეობას, რომელიც ამბობს: „მე არავის წინაშე არასოდეს არ ვიტყოდი ამას, მაგრამ, ღმერთო ჩემო! რა ვქნა, რომ მე არაფერი არ მიყვარს ისე, როგორც სახელის მოხვეჭა, ხალხის მოწონება. როგორც ძვირფასი არ არიან ჩემთვის დედა, მამა, ცოლი, მე მათ ყველას გავსწირავდი ერთი წუთის დიდებაზე ხალხზე სადღესასწაულოთ. იმ ხალხის სიყვარულის მოსაპოვებლად, რომელსაც მე არ ვიცნობ და არც არას ოდეს მეცნობა“.

ველურის პატივმოყვარეობას ერთი რომელიმე გარეული ნადირის მოშინაურება სრულიად დააკმაყოფილებს, ან რომელიმე ზიზილ-პიპილას ჩამოკიდება დღევანდელი იმპერიალისტებისას კი მილიონები ეწირება. ცხადია, პატივმოყვარეობას იწვევს სულიერი ფუქსავატობა, მაგრამ ისეც ცხადია, რომ თანამედროვე კულტურული კაცის სული ველურზე არა ნაკლებ გამოფიტულია. მხოლოდ სხვა მიზეზით: ველური უვიცობით და დღევანდელი კულტურული ადამიანი კი თავისი განუსაზღვრელი ეგოიზმით და ვნებათა აშვებულობით.

და თუ ველური თავისი გულუბრყვილობით ამ თვისებას ვერ ფარავს და აშკარად იჩენს, დღევანდელი კულტურული მამაკაცი გულუბრყვილობას დიდათ დაშორებულია, განსაკუთრებით ევროპიელები, რომლებიც ცხვრის ტყავში გახვეულნი მგლების გულით მიმოდიან ცხოვრების მოედანზე.

კატო მიქელაძე.

(შემდეგი იქნება)

---

*) см. Человѣкъ и Земля", Э. Реклю.

ნის ფერშალთა და ბებია ქალთა პროფესიონალურ კავშირი, აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ მათ თვიური ჯამაგირი მოუმატონ 200 მანეთამდის, წინაღმდეგ შემთხვევაში მუშაობას შესწყვეტენ. ეს მოთხოვნილება გადაათვალიერა ხსენებულმა კომიტეტმა და დასაკმაყოფილებლათ გაუგზავნა ქალაქის თვითმართველობას.

✦ **შეშის საკითხი** ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირმა დაადგინა, რომ შეიძინოს წიფაში, მარულისში და ძირულაში ტყე და თბილისის გუბერნიის საჭირო შეშა და ამზადოს.

— —

დახასიათება აგრე უნდა

გაზეთ საქართველოს „246 № ში ბ. ლ. ბახტაძე ისე ორაზროვნათ ახასიათებს ეკატერინე ბრეშკოვსკაიას, რომ თუ იმას თქმა არ სურდა მას, რომ ქალი რაც უნდა იყოს მაინც მამაკაცზე მდაბლა სდგასო გაკვირვებაში მოგიყვანთ მისი წერილის ულოგიკობა.

„პირველად, რომ ვნახე ეგ უბრალო დედაკაცი გაკვირვებას მივეცი და ვეკითხე: რას ერჩოდა სულელი მთავრობა მეფისა ამ საბრალო დედაკაცს? „ამბობს ბ. ლ. ბახტაძე.

„ოცდა ცამეტი წლის ციმბირში და ცივ საპყრობილეში გდებამ, როგორც თვით აღიარა სმენა დაუხშო ყურებში მას არა ესმის რა.

როდესაც ბებია გამოჩნდა და სიტყვა აიღო მთელი დარბაზი, როგორც ერთი კაცი ფეხზე წამოდგა და ჩუმად მიესალმა.

როდესაც ბებია შეეხო გენერალ კორნილოვს და კადეტებს მისმა ხმამ არა ჩვეულებრივი ზარიანობა მიიღო, თითქო ფოლადი ფოლადს მოხვდა. ისეთი ცივი და შემზარავი იყო მისი ხმა.

ამ დროს იდგა იგი კრების წინ თმა აშლილი, პირზე ალმური ასდიოდა თვალი თვალში გაეყარა კრებისათვის და იწვევდა მას შეერთებისაკენ.

მაშინ მივხვდი რისთვის დასდევდა მეფის მთავრობა ამ ვეფხვის კლანჭებიან დედაკაცს.“

მოგვითხრობს რა ასეთს თვისებებს რევოლუციის დიდი დედისას ლ. ბაბახტაძე თანვე დასძენს:

„ბებიას ერთხელაც არ ავიწყდება რომ იგი უძლური ქალია (sic) იგი ყოველთვის მამაკაცის მფარველობას ეძებს და თხოულობს. მას ხშირად კრებაზე თავმჯდომარეობას სთავაზობენ, იგი კი ყოველთვის იცილებს თავიდანმას.“ ფერაფერი ფსიხოლოგი ბრძანებულა ბ. ლ. ბახტაძე და ჩვენ მოვახსენებთ მას რომ რევოლუციის დიდი დედას ერთხელაც არ მოფიქრებია, რომ იგი უძლური დედაკაცია, რომელიც მამაკაცების მფარველობის ქვეშ უნდა სცხოვრობდეს. ასეთი უძლური სულერი შეგნება რომ ჰქონდა მას ვეფხვათაც არ მოეჩვენებოდა იგი ბ. ბახტაძეს. და თუ 75 წლის ყურთა სმენას მოკლებული ადამიანი დღეს თავმჯდომარეობაზე უარს აცხადებს და ვისმეს მფარველობას მოითხოვს მისთვის, რომ გაუგებრობით რამე შეცდომა არ დაუშვას ეს მხოლოდ მის თავმოყვარეობას და გონიერებას მოასწავებს და არა მის სიმხდალეს და თავის თავის მამაკაცზე მდაბლად დაყენებას.

რუსის ინტელიგენციას ამნაირად რომ გაეგო ბრეშკოვსკაიას უბრალოება, როგორც ეს ლ. ბახტაძეს გაუგია, მას არც რევოლუციის დიდი დედათ აღიარებდენ და არც სახალხო, ეროვნულ კრებაზე თავმჯდომარობას შესთავაზებდენ.

სიყეყჩე, ამპარტავნობას რუსეთის უკეთესი ინტელიგენცია არასოდეს არ იყო ჩვეული. და მით უმეტეს ყველაზე ნაკლებ ასეთს გამოიჩენს ის ქალი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე თავის სულიერ მისწრაფებას შესწირა და მონობის ჯაჭვს ამსხვრევდა ჩაგრულთა განსათავისუფლებლად. სამწუხაროდ ჩვენში დღემდე კიდევ სადაოა, რომ ძლიერი და თავისუფალი სული დედამიწაზე უბრალო სამოსელით და მანერებით დაიარება. ნეტავ რას იტყოდა ლ. ბახტაძე, რომ მას საფრანგეთის რევოლუციას გმირი ქალი ლუიზა მიშელი ენახა?

მკითხველი.

ქ. სამტრედია

25 მარიამობისთვე ქ. სამტრედიაში საძირკველი ჩაეყარა პირველს ქალთა კლუბს, ამორჩეული იქნა 10 ქალი, რომელსაც თაოსნობა უნდა გაეწიათ ამ კლუბის მოწყობისთვის. მოსალოდნელი იყო, რომ სამტრედიის ქალების თვით-მოქმედებას სიხარულით შეხვდებოდენ ჩვენი ამხანაგი მამაკაცები, მაგრამ თანაგრძნობას ნაცვლად ვაი ამ 10 ქალის ბრალი, რომელთ საწინაღმდეგოთ გაილაშქრენ, არა მარტო მამაკაცები, არამედ მათი თუთუყუშივით ამღლოლი ქალებიც. და ყოველ ნაირად ცდილობენ ამ საქმის ჩაშლას. ზოგი მამაკაცები გაიძახიან: რას მიქვია ქალთა ორგანიზაციები, ვინ გიიგონა ქალების თავისუფლება? ზოგი მათგანი იძახის რა საჭიროა ცალკე ქალების ბრძოლა, ჩვენთან ერთად იმუშაონ და ჩვენ მივანიჭებთ უფლებასა და თავისუფლებასო. უკანასკნელთ სრულიად ავიწყდებათ ის, რომ ჩვენ უარს არა ვყოფთ მათთან მუშაობას, რამდენათაც ეს საჭიროა მათვის და ჩვენთვისაც, როცა საქმე მუშათა და საზოგადოთ მშრომელთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობას ეხება, ან საერთო პოლიტიკურ თავისუფლებას. ამ საქმეში ჩვენ მათვის მრავალი უპირობო დახმარება გაგვიწევია და შეიძლება ამითაც იყოს გამოწვეული ეგ გულმავიწყობა. ამ უკანასკნელ ხანებში მამაკაცების გულ გრილობამ ქალთა საკითხისადმი და ჩვენმა სპეციალურმა დედაკაცურმა გაჭირვებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ორგანიზაციულად შეერთება, რომ გამოვარკვიოთ ჩვენი სადღეისო მოთხოვნილებანი, დავანახოთ მამაკაცებს, რომ ქალებიც ვარსებობთ და თვალყურს ვადევნოთ მას თუ როგორ გულწრფელად ისინი იცავენ ჩვენს ინტერესებს. და სადაც ისეთი ავიწყდებათ, თუ განგებ ივიწყებენ, იქ შერთებულმა ადგილობრივთ ქალთა ხმამ მოაგონოთ მათ ხვენი საჭიროებანი. რა უნდა ჰქონდეს ასეთი პატიოსანი მიზნით დაარსებულ ქალთა კავშირის საწინააღმდეგო იმ ამხანაგებს, რომელთ პარტიულ პროგრამაში ქალთა სწორუფლიანობა აღიარებულია, თუ რომ ეს მუხლი თავიანთ პროგრამისა მკვდარ ასოებათ არ სურთ დარჩეს და მის ცხოვრებაში გატარებას არ ეწინააღმდეგებიან?

მათი ამყოლი ქალები განსაკუთრებით ის პირები, რომლებიც თავიანთ თავს მაძღრათა გრძნობენ ურცხვად გაიძახის: „ჩემი ქმარი კარგი ხასიათისაა მე არასფერს არ მაკლებს და არც მიშლის და სხვას რას დავეძებ„-ო ასეთი ტლანქი ეგოიზმისათვის და ვიწრო შეხედულობისათვის არაფერი არგუმენტი არ არსებობს. იყავით ქალბატონებო თქვენთვის, განაგრძნეთ თქვენი პირადი კმაყოფილი ცხოვრება, მაგრამ ისიც მოიგონეთ, რომ ყველა ქალები თქვენებრ ბედნიერ ვარსკვლავზე არ იბადებიან და არიან სასტიკათ დაჩაგრულნიც, მრავალი უსამართლოებისა და ძალმიერეობის გამოვლილნი. შორს რომ არ წავიდეთ თვით სამტრედიაში არა ერთი მაგალითი არის ამისი.

რომელსაც თქვენ და თქვენი კეთილი ქმრები თვალზე ხელ აფარებით უცქერით. მოგაგონებთ, თუ არ გახსოვთ? განა დიდი ხანია მას აქედ რაც ერთს პატარა ბავშების პატრონს ქვრივს ერთი მაწანწალა გასიუპატიურებლათ სამჯერ თავზე დაეცა, რომელსაც სახლში ერთი გროშის შემომტანი, არც მფარველი არა ვინა ყავს? ამ ქალმა სამივეჯერ თავი გმირულად გადაირჩინა და როცა კომიტეტში, საჩივარი შეიტანა, რომ ეგ მხეცი ჩამოეშორებინათ მისთვის და ბავშები შიშით ჭკუიდან შეშლისაგან დაეფარათ რა პასუხი მისცა მას მამაკაცების სამართალმა? ისა, რომ ეს ვაჟბატონი ალხეინათ დასეირნობს და კიდევ უფრო მუქარას უთვლის მას. და საბრალო მშრომელს დედას დღესაც გული შიშით უსკდება!

მეორე მაგალითი გნებათ? განა დიდი ხანია რაც ეს ამბავი გავიგეთ, რომ ერთ ვაჟბატონს ქალი შეურთავს, რომელიდანაც ფულები ბლომათ აულია და როცა ეს ფულები ქეიფში შესჭამა ცოლი უპატრონოთ და უსახსროთ დასტოვა და გაიქცა? რა სამართალი გაუჩინეთ ამ საბრალო, შეურაცყოფილს დედაკაცს?

მესამე მაგალითი გნებათ? ამასაც მოგაგონებთ, თუმცა შვილებზე ზრუნველთ ის არ უნდა დაგვიწყებოდათ, რადგან არც ეს არის დიდი ხნის ამბავი: ერთმა ქვრივმა მამამ ცოლი შეირთო და იმის მიზეზით, რომ გერი და დედინაცვალი ვერ შეეთვისენ ერთი მეორეს; როდესაც მამამ 14 წლის ქალიშვილი სახლიდან უპატრონოთ გააძევა და დღეს ეს საბრალო ბავში სხვისა და სხვის კარებზე დაწანწალებს. რა ყურადღება მიაქციეთ მას? დღეს ეგ ქალიშვილი მძიმე ავათმყოფი სხვის სახლში წევს და რომელმა თქვენთაგანმა უსაყვედურეთ ამ სასტიკ მამას და აიძულეთ ის თავის შვილის მოვლაზე?

ცალცალკე [illegible] და საჩივარს რა გავლენა აქვს ეს თქვენ მრავალჯერ დაგვანახეთ. და თუ ჩვენს დღეს გარდავწყვიტეთ ორგანიზაციულად შეკავშირება, მხოლოდ მისთვის, რომ ასეთი უსამართლოებიდან თავი მოვიგეროთ რომ ქალთა ჩივილს თქვენც მეტი ანგარიში გაუწიოთ.

აი რასთვის ჰყოფილა თურმე საჭირო ქალთა კავშირები! ჩვენ გვეუბნებიან მუშა და ბურჟუა ქალს საერთო არაფერი აქვს„ო. ეს რამდენათ მართალია ამაზე არას ვიტყვი. მხოლოდ სამტრედიის ქალთა კავშირში ისეთი ბურჟუა ქალები არ ჩაწერილან, რომლისთანაც ამათუ, იმ სოციალისტურ პარტიაში არ ეწერებოდენ. კავშირში თავს ვიყრით სხვა და სხვა მიმართულების ქალები ერთად ერთი მიზნით, რომ დავიცვათ ჩვენი სპეციალური დედაკაცის ინტერესი, რომელიც ერთნაირად ითელება ყველასთვის მამაკაცების სიტლანქით. და რომელი პარტია იმისათვის ჩვენ თავის წრიდან გაგვაძევებს ნეტავ იმ პარტიის მომავალს! ქალებო, გამოფხიზლდით! გაარჩიეთ სიცრუე სიმართლიდან! და გაბედულად შემოკრბით ჩვენი პატიოსანი დროშის გარშემო თქვენი ადამიანური უფლების დასაცველად!

ძირს გულგრილმა! ძირს მორონტი ქალ-ვაჟენი!

მლვიძარე

სია შემომწირველთა.

ქუთაისის ქალთა კლუბის სასარგებლოთ ელენე ნიკოლოზის ასული ნადარეიშვილის მეუღლის მიერ შეგროვილი ფული ქ. გუდაუთაში.

1) ელენა ნადარეიშვილი	25 მან.
2) ეკატერინა გიორგის ასული ნადარეიშვილი	3 „
3) ელიჩკა ფარნას ასული ნადარეიშვილი	3 „
4) მარიამ უჩანეს ასული ქაჯაიამ.	2 „
5) ოსანა სპირდონის ასული არჯავანიძემ	2 „
6) ლუბა ჰოჰიამ	2 „
7) კატო ადამიამ	1 „
8) ნინა დავითის ასული ნადარეიშვილი	5 „
9) ლიდა გიორგის ასულმა ვობეჩიამ	2 „
10) სონია ხოფერიამ	3 „
11) მატრონე გიორგის ასულმა კაკაბაძემ	2 „
12) აგრაფინა გაბუნიამ	2 „
13) ვერა პერტენავამ	3 „
14) ტერეზია ფილიპეს ასულმა ლაკერბაიამ	3 „
15) პარასკევა დიმიტრის ასულმა გოგინავამ	3 „
16) მახსულიამ ჟორიამ	5 „
17) ვერ ამოვიკითხეთ	2 „
18) ვალენტინა ლაკერბაიამ	3 „
19) ქსენია ნადარეიშვილი	5 „